ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. თებერვლის 19 № 4 თბილისი

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტ[redacted]ის დადგენილება.

13. ახალი სასოფლო საბჭოების გამოყოფის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

14. საქართველოს სსრ სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოების ორგანიზაციის შესახებ.

15. 1938 წელს ხბოების, ბატკნების, გოჭების და კვიცების მოგების კამპანიის ნორმალურად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

16. კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან საბინაო და კულტურული საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ.

17. საქართველოს სსრ-ში 1939 წ. მოსახლეობის სრულიად—საკავშირო აღწერისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

012.6

13. **ახალი სასოფლო საბჭოების გამოყოფის შესახებ.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გამოყოფილ იქნას ახალი სასოფლო საბჭოები საქართველოს სსრ-ის შემდეგ რაიონებში:

ადიგენის რაიონი.

გამოეყოს ვარხანის სასოფლო საბჭოს სოფლები: აბასთუმანი, აგარაკი აბასთუმანი და საგრძე და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით აგარაკ-აბასთუმანში, აგარაკ-აბასთუმნის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

გამოეყოს წახანის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭიხელი და მიეწეროს ვარხნის სასოფლო საბჭოს.

ხობის რაიონი

გამოეყოს ხობის სასოფლო საბჭოს სოფლები: ნოჯიხევი, მეორე ხობი, ნაფოშტუ და ზენი ებრაელთა სოციალისტური სოფლის კომლებით და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნოჯიხევში, ნოჯიხევის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

თიანეთის რაიონი.

გამოეყოს ზემო-თიანეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ტუშურები, ჯერვალიძეები, კოხოიანები, ალაჭანი და წიკლოიანთკარი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტუშურებში, ტუშურების სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ცხაკაიას რაიონი.

გამოეყოს ნოქალაქევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბეთლემი, ზედა ნოქალაქევი, უშაფათის სასოფლო საბჭოს სოფელი ლეკოკაია და ფოცხოს სასოფლო საბჭოს სოფელ მოხაში II და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბეთლემში, ბეთლემის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

გამოეყოს ნოსირის სასოფლო საბჭოს სოფელ ნოსირის ა/კ. რკინის გზის სამხრეთ აღმოსავლეთის მხარე ახალი სასოფლო საბჭოს დაარსებით.

გამოეყოს ხორშის სასოფლო საბჭოს სოფლები: საგუგუნაო, დიდი ხორში, და ზანის სასოფლო საბჭოს სოფელი პატარა ზანა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიდ-ხორში, დიდი-ხორშის პირველ მაისის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1938 წ. ბიუჯეტში ამ დადგენილებით დაარსებულ სასოფლო საბჭოების ადმინისტრატიული სამეურნეო ხარჯები.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. თებერვლის 7. № 248.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

14. საქართველოს სსრ სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოების ორგანიზაციის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 ივლისის დადგენილებისა „სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოების სამეურნეო ანგარიშის უფლებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 43, მუხ. 361) და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის № 2074 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოებისათვის სამეურნეო ანგარიშის უფლებების მინიჭების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. მოეწყოს საქ. სსრ ადგილობრივი, სატყეო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების შემადგენლობაში შემდეგი მთავარი სამმართველოები, რომლებსაც მიენიჭოს გასაღებისა და მომარაგების ფუნქციები სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ამასთან გასაღებისა და მომარაგების საერთანადო სამეურნეო ანგარიშის კონტორები რეორგანიზებულ იქნან მთავარ სამმართველოთა განყოფილებებად (ჯგუფებად):

1. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყოს ოთხი მთავარი სამმართველო:

ა) მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველო „საქმთავმანქმრეწვი“ მანქანათმშენებლობის სამმართველოს და სამეურნეო ანგარიშის კონტორის „მანქმარაგგასაღების“ ბაზაზე და დაუბორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. 26 კომუნარის სახ. მანქანათმშენებელი ქარხანა თბილისში.
2. ორჯონიკიძის „ „ „ თბილისში.
3. კამოს „ დაზგათმშენებელი „ თბილისში.
4. ოქტომბრის რევოლუციის სახ. სპილენძსაგლინი ქარხანა . . . . . თბილისში.
5. ლითონის კონსტრუქციის ქარხანა . . . . . თბილისში.
6. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა . . თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ვოროშილოვის სახ. ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა ბათუმში.
8. სასოფ.-სამეურნ. მანქანებისა და ინვენტარის ქარხანა . . . . . თბილისში.
9. სასწორ საზომი ხელსაწყოების სარემონტო ტრესტი „საქსასწორსაზომრემონტტრესტი“ . . . თბილისში.

დაეკისროს „საქმთავმანქმრეწვს“ ლითონის დამმუშავებელი იმ საწარმოებისა და სარემონტო-მექანიკური სახელოსნოების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც ემორჩილებიან აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში;

ბ) სამთამადნო მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავმადნმრეწვი“ სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს და სამეურნეო კონტორის „მადანმარაგგასაღების“ ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. ბარიტის მომპოებელი და გადამმუშავებლი საწარმო ქუთაისში „საქბარიტი“.
2. გუმბრინის მომპოებელი და გადამმუშავებელი საწარმო ქუთაისის რაიონის სოფელ გუმბრში „საქგუმბრინი“.
3. ანდეზიტის მომპოებელი და დამმუშავებელი საწარმო ყაზბეგის რაიონის სოფ. არშაში „საქანდეზიტი“.
4. დიატომიტის მომპოებელი და გადამმუშავებელი საწარმო ახალციხის რაიონის სოფ. ქისათიბსში „საქდიატომიტი“.
5. მარმარილოს ქარხანა თბილისში და მარმარილოს დამმუშავებელი საწარმოები სოფ. შროშაში, მოლითში, სადახლოში, ლოფოთში და სხვ. „საქმარმარილო“.
6. თვითფერადების მომპოებელი და დამმუშავებელი საწარმო „საქთვითფერადები“.
7. ქვისსაჭრელი ფაბრიკა თბილისში.
8. სახურავი ფიქალის დამმუშავებელი საწარმო ყვარლის რაიონის სოფ. ინცობაში „საქფიქალი“.
9. ალებასტრის მომპოებელი საწარმო წალენჯიხის რაიონის სოფ. ხუდონში.
10. ტეშენიტის (კურსების გრანიტი) მომპოებელი და დამმუშავებელი საწარმო ტყიბულის რაიონის სოფ. კურსებში „საქტეშენიტი“.
11. სალიტოგრაფიო ქვის მომპოებელი და დამმუშავებელი საწარმო „საქლიტქვა“.
12. ტალკის ქარხნის მშენებლობა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფ. წნელისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკისროს „საქმთავმადნმრეწვს“ იმ სამთამადნო საწარმოების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც ემორჩილებიან აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში;

გ) საშენ მასალათა მთავარი სამმართველო „საქმთავსაშენმასალა“ საშენ მასალათა სამმართველოს და სამეურნეო ანგარიშის კონტორის „მშენმარაგგასაღების“ ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. აგურის მექანიზებული ქარხანა ღრმა-ღელეში (თბილისში).
2. კერამიკული ლაბორატორია თბილისში.
3. აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხანა ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირში.
4. თბილისის ბეტონიტის ქარხანა.
5. ზესტაფონის რაიონის ტევრის მექანიზებული აგურის ქარხანა.
6. ცეცხლგამძლე მასალათა ნაწარმის ქარხანა „შროშა“ ზესტაფონის რაიონში.
7. ხაშურის რაიონის სურამის კირის ქარხანა.
8. ტყიბულის რაიონის მოწამეთის კირის ქარხანა.
9. ცაიშის ცარცის ქარხანა ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაისში.
10. ეკლარ-კვახჭირის ქვის წარმოება ქუთაისის რაიონის სოფ. ეკლარში.
11. ბიტუმის ქარხანა მახარაძის რაიონის სოფ. ნატანებში.

დაეკისროს „საქმთავსაშენმასალას“ საშენ მასალათა იმ საწარმოების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც ემორჩილებიან აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქებს საქალაქო საბჭოებს, რომლებიც არ შედიან რაიონებში.

დ) კულტურულ-პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავკულტპოლიგრაფმრეწვი“ კულტურულ-პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს, სამეურნეო ანგარიშის კონტორის „საქპოლიგრაფმარაგგასაღების“ და ავეჯის გამსაღებელი ბაზის საფუძველზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა № 1 „კომსომოლკა“.
2. მოლოტოვის სახელობის თბილისის ავეჯის ფაბრიკა.
3. თბილისის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა.
4. თბილისის საშტემპელო-სააქაქო ფაბრიკა.
5. თბილისის საბავშვო სათამაშოებას ფაბრიკა „საბჭოთა სათამაშო“.
6. თბილისის მუსიკალური ფაბრიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. თბილისის ცელულოიდის ფაბრიკა.
8. მუსიკალური კომბინატის მშენებლობა.
9. ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა".
10. ავეჯის გამსაღებელი ბაზა.

დაეკისროს „საქმთავკულტპოლიგრაფმრეწვს" ყველა იმ სტამბის დაგეგმვა, რეგულირება და მომარაგება, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის ემორჩილებიან ისინი, აგრეთვე კულტმრეწველობის იმ საწარმოთა საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც ემორჩილებიან აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, რომლებიც არ შედიან რაიონებში.

2. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყოს შემდეგი ოთხი მთავარი სამმართველო:

ა) აბრეშუმის მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავაბრეშუმმრეწვი" აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს და სამეურნეო ანგარიშის გამსაღებელი კონტორის—„აბრეშუმმარაგგასაღების" ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა.
2. წულუკიძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკები №№ 1 და 2.
3. თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა.
4. მახარაძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა.
5. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი.
6. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა.

ბ) საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავფეიქარმრეწვი" საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის და სამეურნეო ანგარიშის გამსაღებელი კონტორის—„საქფეიქმარაგგასაღების" ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა.
2. ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.
3. თბილისის ზამბის ფაბრიკა.
4. თბილისის ძაფსართავი ფაბრიკა.
5. თბილისის ქეჩის ფაბრიკა.
6. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი თბილისის მაუდის ფაბრიკასთან.

დაეკისროს „საქმთავფეიქარმრეწვს" ქუთაისის და ზესტაფონის იმ სატრიკოტაჟო ფაბრიკების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც ემორჩილებიან სათანადო რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამკერვალო მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავსამკერვ-მრეწვი", სამკერვალო მრეწველობის სამმართველოს, სამეურნეო ანგარიშის გამსაღებელი კონტორის მკერავგასაღების და საგამომჭრელი ფაბრიკასთან არსებული მომარაგების ბაზის საფუძველზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1.
2. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2.
3. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა.
4. თბილისის ქუდების ფაბრიკა.
5. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა.
6. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 6.
7. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7.
7. თბილისის საგამომჭრელო ფაბრიკა.
9. თბილისის ინდივიდიალური შეკერვის სამკერვალო სახელოსნო.
10. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები თბილისსა, ქუთაისსა და ბათუმში.

დ) ტყავფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავტყავ-ფეხსაცმელმრეწვი". ტყავფეხსაცმლის მრეწველობის სამმართველოს და სამეურნეო ანგარიშის გამსაღებელი კონტორის "საქტყავფეხსაცმელმარაგგასაღების" ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1 და 2.
2. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკები №№ 1, 2 და 3.
3. თბილისის ჯაგრის ფაბრიკა.

დაეკისროს „საქტყავფეხსაცმელმრეწვს" ბათუმის ტყავის ქარხნის და ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, რომლებიც რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ექვემდებარებიან.

3. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყოს შემდეგი ორი მთავარი სამმართველო:

ა) სატყეო მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავტყემრეწვი" და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა,
2. ჯალაბეთის სატყეო კომბინატი,
3. ბორჯომის სატკეჩე ქარხანა,
4. ბათუმის ცენტრალური ხისდამმუშავებელი ქარხანა,
5. საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა,
6. მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა,
7. თელავის ავტობაზა,
8. თბილისის ავტობაზა,
9. ხაშურის ავტობაზა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბორჯომის ავტობაზა,
11. ჯალაბეთის ავტობაზა,
12. კახეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
13. თბილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
14. ხაშურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
15. ბორჯომის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
16. ჯალაბეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
17. ხარაგოულის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
18. ჭიათურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
19. ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
20. ზუგდიდის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა,
21. ხეთის მექანიზებული პუნქტი.

ბ) სატყეო მეურნეობის, სატყეო კულტურების და ტყეების დაცვის მთავარი სამმართველო „საქმთავტყემეურნეობას" და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. ხაშურის სატყეო მეურნეობა,
2. სამხრეთ-ოსეთის სატყეო მეურნეობა,
3. ბორჯომის სატყეო მეურნეობა,
4. ქუთაისის სატყეო მეურნეობა,
5. შარელისის სატყეო მეურნეობა,
6. ჭიათურის სატყეო მეურნეობა,
7. მახარაძის სატყეო მეურნეობა,
8. ყარაიას სატყეო მეუნეობა,
9. სალხინო-მარტვილის სატყეო მეურნეობა,
10. ზუგდიდის სატყეო მეურნეობა,
11. აფხაზეთის სატყეო მეურნეობა,
12. აჭარის სატყეო მეურნეობა,
13. ფოთის სატყეო მეურნეობა,
14. ამბროლაურის სატყეო მეურნეობა,
15. ქვემო სვანეთის სატყეო მეურნეობა,
16. ჩოხატაურის სატყეო მეურნეობა,
17. ლუქსემბურგის სატყეო მეურნეობა.

4. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყოს თამბაქოს მრეწველობის მთავარი სამმართველო „საქმთავთამბაქო" თამბაქოს მრეწველობის სამმართველოს და საქართველოს გამსაღებელი კონტორის „მთავთამბაქოს" ბაზაზე და დაუმორჩილდეს მას შემდეგი საწარმოები:

1. თბილისის ქაღალდის ფაბრიკა,
2. თბილისის თამბაქოს საფაბრიკო სამმართველო,
3. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა,
4. სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თბილისის გამსაღებელი სააგენტო,

6. ბათუმის გამსაღებელი სააგენტო,

7. სოხუმის გამსაღებელი სააგენტო,

8. ქუთაისის გამსაღებელი სარაიონთაშორისო ბაზა.

II. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი, მსუბუქი, სატყეო, და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთა მთავარი სამმართველოების აპარატების შემდეგი სტრუქტურა:

1. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებში:

ა) საწარმოო-საგანკარგულებო-სადისპეტჩერო ჯგუფი;

ბ) ტექნიკური ჯგუფი;

გ) საგეგმო-საფინანსო-სტატისტიკური ჯგუფი;

დ) ბუხჰალტერია;

ე) მომარაგების გასაღების განყოფილება.

2. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებში:

ა) საწარმოო-საგანკარგულებო-ტექნიკური ჯგუფი,

ბ) საგეგმო-საფინანსო ჯგუფი,

გ) სტატისტიკური ჯგუფი,

დ) ბუხჰალტერია,

ე) მომარაგების განყოფილება,

ვ) გასაღების განყოფილება.

3. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მრეწველობის მთავარ სამმართველოში:

ა) საწარმოო-საგანკარგულებო ჯგუფი,

ბ) მომარაგებისა და გასაღების განყოფილება (ტექნიკური მომარაგების ჯგუფი),

გ) მექანიზაციის განყოფილება,

დ) საფინანსო განყოფილება,

ე) სტატისტიკური ჯგუფი.

4. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის ტყის კულტურებისა და ტყის დაცვის მთავარ სამმართველოში:

ა) სატყეო-სამეურნეო და ნედლეულის ბაზის განყოფილება,

ბ) ახალი ნარგავებისა და სპეციალური კულტურების განყოფილება,

გ) სტატისტიკური ჯგუფი,

დ) მექანიზაციის ჯგუფი,

ე) ტყეების დაცვის ჯგუფი,

ვ) ბუხჰალტერია,

ზ) მომარაგების ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის თამბაქოს მრეწველობის მთავარ სამმართველოში:

ა) საწარმოო-საგანმკარგულებლო-სადისპეტჩერო განყოფილება,

ბ) მომარაგების განყოფილება,

გ) გასაღების განყოფილება,

დ) საგეგმო-სტატისტიკური განყოფილება,

ე) ბუხჰალტერია.

III. დაევალოს სათანადო სამრეწველო სახალხო კომისარიატის სახალხო კომისრებს, საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშაონ და დაამტკიცონ იმ მთავარი სამმართველოების მომარაგება-გასაღების ოპერაციების წანამატთა ნორმები, რომლებიც ახლა ეწყობა.

დაევალოს საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკურ საშტატო კომისიას განიხილოს საქართველოს სსრ ადგილობრივი, მსუბუქი, სატყეო და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების იმ მთავარი სამმართველოების შტატები, რომლებიც ახლა ეწყობა, და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქ. სსრ სახკომსაბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. იანვრის 5. № № 12, 149.

თბილისი.

---

15. 1938 წელს ხბოების, ბატკნების, გოჭების და კვიცების მოგების კამპანიის ნორმალურად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

იმ მიზნით, რომ უკეთ მიეწყოს მუშაობა ხბოების, ბატკნების, გოჭების და კვიცების მოგების კამპანიის ჩატარებისათვის და უზრუნველყოფილ იქნას მოზარდეულის მთელი ნამატის შენარჩუნება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) შეამოწმონ, თუ რამდენად არის მომზადებული თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ხბოების, ბატკნების, გოჭების და კვიცების მოგების კამპანიის ჩასატარებლად, დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დედა-პირუტყვის მოგების ნორმალურად ჩატარებას და მოზარდეულის მთლიანად შენარჩუნებას 1938 წელს;

ბ) შეამოწმონ მეცხოველეობის ფერმების ყველა ბრიგადირის შემადგენლობა, შესცვალონ სუსტნი და ისეთები, რომლებიც საქმეს თავს ვერ ართმევენ, უფრო შემოწმებული და გამოცდილი მუშაკებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაუყოვნებლივ გამოჰყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ყველა ფერმაში სპეციალური სამშობიარო განყოფილებანი, მოაწყონ ისინი, ჩაატარონ გულმოდგინე დეზინფექცია, გაწმენდა, შეთეთრება, გათბობა, ვენტილაცია და ვანათება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა საჭირო ვეტსანიტარულ ღონისძიებათა გატარებას იმ მეურნეობებში, სადაც წარსულში ადგილი ჰქონდა ეპიზოოტურ დაავადებას;

დ) უზრუნველჰყონ ყველა მაკე ძროხა, მაკე დედა-ცხვრები, მაკე დედა-ღორები და მაკე ჭოკები კეთილხარისხოვანი საკვების საჭირო რაოდენობით, ამასთან ნაკლებ სიმსუქნის დედა-პირუტყვი გამოჰყონ ცალკე და დააწესონ მათი გაძლიერებული კვება;

ე) მოაწყონ პირუტყვის მომვლელების, ჩობნების, მეღორეების და მეჯინიბეთა განუწყვეტელი მთელი დღე-ღამის მორიგეობა პირუტყვის სადგომებში, ბინებსა და სამშობიარო განყოფილებებში მოგების პერიოდისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეტისური სულადობის ნამატს და უზრუნველჰყონ ზუსტი ჯიშჩანაწერები ყველა საჯიშე ფერმაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) გამოჰყოს სპეციალური ფონდი ბრიგადებისა და ცალკეული ჩობნების, პირუტყვის მომვლელების, მეღორეებისა და მეჯინიბეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც შეინარჩუნეს მთელი ნამატი და არ ჰქონიათ მოგედბის შემთხვევები ფერმაში;

ბ) დაუყოვნებლივ მიავლინოს მეცხოველეობის ძირითად რაიონებში არა ნაკლებ ვიდრე ოცი სპეციალისტი-ზოოტექნიკოსი და პასუხისმგებელი მუშაკი რომლებიც დახმარებას გაუწევენ რაიონულ ორგანიზაციებს დოლის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

მიმაგრებულ ამხანაგთა სია წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

3. ითვალისწინებს რა სუსხიანი ამინდის და არახელსაყრელი კლიმატური პირობების შესაძლებლობას, სახკომსაბჭო გაფრთხილებას აძლევს საქართველოს სსრ მიწსახკომს, ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ და გულმოდგინედ მომზადდეს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ყველა პირობა დოლის წარმატებით ჩატარებისათვის არახელსაყრელ კლიმატურ პირობებშიაც კი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს სისტემატურად ადევნოს თვალყური და ყოველ ხუთდღიურში მოაწოდოს ინფორმაცია სახკომსაბჭოს ხბოების, ბატკნების, გოჭების და კვიცების მოგების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. თებერვლის დამლევს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ მიწსახკომის და ორი-სამი რაიაღმასკომის მოხსენება დოლის მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 152.
თბილისი.

731.5

16. კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 23 იანვრის დადგენილებისა „1934 წელს ქალაქებსა და სასოფლო ადგილებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 5, მუხ. 38; 1935 წ. № 4, მუხ. 31; 1936 წ. № 2, მუხ. 18), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან გამოსაღების გადახდისაგან:

ა) ზემო-სვანეთის რაიონის ყველა სოფელი;

ბ) დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოებში შემავალი ყველა სოფლის და

გ) თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალისა და ბაჩალისა კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი შემდეგი ოდენობით:

2. დაწესდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების საშუალო განაკვეთები კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან შემდეგი ოდენობით:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის:

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების დასახელება	რომლებსაც არა აქვთ შემოსავლის განუსაზოგ. წყაროები	რომლებსაც აქვთ შემოსავლის განუსაზოგ. წყაროები
1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	5 მან.	20 მან.
2. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძ ს, ახალქალ ქის, ბოგდანოვკის, ორჯონიკიძის, ჭიათურის, ჩუბარის, ტყიბულის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, ზალეხჯიხის, ფოთის, ქვემო სვანეთის და ყვარლის	5 მან.	15 მან.
3. თელავის, საგარეჯოს, ალბულაღის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ზესტაფონის, ამბროლაურის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, წულუკიძ ს, აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ხობის, ლანჩხუთის, მახარაძის და ჩოხატაურის	5 მან.	20 მან.
4. თბილისის, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბალდათის, ზუგდიდის	5 მან.	27 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების დასახელება	რომლებსაც არ ჰყავთ არც მუშა პირუტყვი, არა აქვთ არც საბაზრო, არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი	რომლებსაც [redacted] ჰყავთ მუშა პირუტყვი ანდა აქვთ საბაზრო ან არასამიწათმოქმედო შემოსავალი
1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	სასოფ.-სამ. გადასახადის თანხის 80%	სას.-სამ. გადასახადის თანხის 120%
2. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ორჯონიკიძის, ჭიათურის, ჩხარის, ტყიბულის, ონის, ცაგეროის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის, ქვემო-სვანეთის	სასოფ.-სამ. გადასახადის თანხის 75%	სას.-სამ. გადასახ. თანხის 110%
3. თელავის, საგარეჯოს, აღბულაღის ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, წულუკიძის, აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ხობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის, ზესტაფონის, ამბროლაურის .	80%	120%
4. თბილისის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბაღდათის და ზუგდიდის .	85%	135%

3. დაწესდეს კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების მიერ გამოსაღების გადახდის ორი ვადა: 50%—15 თებერვალს და 50%—15 მარტს.

4. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 23 იანვრის დადგენილება „1936 წელს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროების გამოსაღებით დაბეგვრის შესახებ“ შემდგომი ცვლილებებით (საქ. სსრ კან. კრ. № 3, მუხ. 24; 1937 წ. № 2, მუხ. 18, ოქმი № 1, § 9, კან. კრ. № 9, მუხ. 61).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 167.
თბილისი.

17. საქართველოს სსსრ-ში 1939 წ. მოსახლეობის სრულიად—საკავშირო აღწერისათვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

1939 წ. მოსახლეობის სრულიად—საკავშირო აღწერის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარების მიზნით და განსავითარებლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 სექტემბრის დადგენილების „მოსახლეობის სრულიად—საკავშირო აღწერის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 65, მუხ. 212), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) 1938 წლის 25 მარტამდე მოიყვანონ წესრიგში ყველა ქუჩის, შესახვევების, ჩიხებისა და მოედნების სახელწოდება, ყველა კვარტალისა და სახლთმფლობელობის ნუმერაცია ქალაქებში, ამასთან გამოაკრან თვითეულ სახლზე მიკუთვნებული ნომერი, ხოლო თვითეულ კუთხეში—ქუჩის სახელწოდება;

ბ) დააევალონ სახლთმართველობებს არაუგვიანეს 1938 წლის 25 მარტისა მოიყვანონ წესრიგში საბინაო დავთრები და მათი ჩანაწერები და დახმარება გაუწიონ რეგისტრატორებს, როდესაც ისინი ჩამოივლიან სახლებს სახლთმფლობელობის სიების შესადგენად, აგრეთვე დააწესონ სახლთმმართველობათა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ სახალხო-მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს რეგისტრატორებს წარედგინოს სწორი ცნობები ბინებისა და მოსახლეობის რიცხვის შესახებ;

გ) 1938 წლის 25 მარტამდე დააზუსტონ სასოფლო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ტერიტორიების საზღვრები, კერძოდ წვრილი დასახლებული ადგილების, ჯიხურების, საყარაულოების და სხვ. მიკუთვნება სათანადო ადგილობრივი საბჭოს (სასოფლო ან საქალაქო საბჭოს და სხვ.) გამგებლობაში;

დ) 1938 წლის 20 მარტამდე დააზუსტონ ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების და მუშათა დაბების სქემატიური გეგმები, ხოლო სადაც ასეთები არა აქვთ, შეადგინონ ახალი გეგმები, რომლებზედაც აღნიშნონ კვარტალების და დასახლებული პუნქტების საზღვრები;

ე) 1938 წლის 25 აპრილამდე დააზუსტონ რაიონების რუკები და აღნიშნონ მათზე რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების გამგებლობაში არსებული ტერიტორიების საზღვრები, მდინარეები, გზები და ყველა დასახლებული პუნქტი, ხოლო იქ, სადაც ასეთი რუკები არა აქვთ, შეადგინონ ახალი რუკები.

2. დაევალოს აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, რომლებიც არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში პერიოდულად მოისმინონ პრეზიდიუმის სხდომებზე სახალხო მეურნეობის აღრიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვის სამმართველოების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონული და საქალაქო ინსპექტორების მოხსენებანი მოსახლეობის აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსს 1938 წლის 25 მარტს მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სსრ-ში 1939 წლისათვის მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 185.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 5. 3/მ. რედაქტორი ი. ფელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № 240 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 240